ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 234 (20275) — სამშაბათი, 11 ოქტომბერი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საყოველთაო განხილვისათვის გამოაქვს 2005 წლამდე პერიოდში რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითად დებულებათა პროექტი, რომელიც სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების, სახელმწიფო დაწესებულებების ერთობლივი მუშაობის შედეგია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ პროექტს ფართოდ გამოეხმაურებიან მშრომელები და იგი აქტიური განხილვის საგანი გახდება.

წინადადებანი, აზრები, შენიშვნები გთხოვთ გამოგზავნოთ პრესის ორგანოებში, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში. ისინი ხელს შეუწყობენ საზოგადოებრივი აზრის გამოვლენასა და ძირითად მიმართულებათა სქემის როგორც ცალკეული მომენტების, ისე მთლიანად პროექტის კორექტირებას.

პროექტი

2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითადი დებულებები

XIX **საუკუნეში** პარტიულმა კონფერენციამ მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი გარდაქმნის გაღრმავების, პოლიტიკური სისტემის რეფორმის, საბჭოთა საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის შესახებ. მან ერთხელ კიდევ გამახვილა ყურადღება იმაზე, რომ საჭიროა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოვიტანოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკვანძო პრობლემები. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული „1991-2005 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემის“ პროექტის განხილვა. სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ერთიანი სისტემის ფარგლებში გრძელვადიანი პერსპექტივისათვის ქვეყნის, რესპუბლიკებისა და დარგების საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემები წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ფაქტორების გეგმისწინა მეცნიერულ გამოკვლევებს და წინ უძღვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის ძირითადი მიმართულებებისა და ხუთწლიანი გეგმების შემუშავებას. წინამდებარე სქემა შემუშავებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დამტკიცებული მეთოდიკითა და წესით.

სქემის შემუშავებაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმწინის, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების 37 სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ორგანიზაცია.

სქემის ძირითად დებულებათა ფართო განხილვა ხელს შეუწყობს ყოველმხრივ დასაბუთებული მეცნიერულ-ეკონომიკური წინადადებების მომზადებას იმისათვის, რომ ისინი გათვალისწინებულ იქნეს ხანგრძლივი პერიოდისათვის შესაბამებელ საგეგმო დოკუმენტებში, შეირჩეს სახალხო მეურნეობის დინამიური და შეწონასწორებული განვითარების ყველაზე ეფექტიანი გზები და კომპლექსურად გადაწყდეს ჩვენი რესპუბლიკის საწარმო, სოციალური და ეკოლოგიური ამოცანები. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როცა მზადდება რესპუბლიკის გადასვლა სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე.

საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარების თანამედროვე დონე და მისი შემდგომი ეკონომიკური ზრდის ამოსავალი ბაზა

საქართველოს სს რესპუბლიკამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდეს წარმატებებს მიაღწია ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. ისტორიულად მოკლე ვადაში საწარმოო ძალების განვითარების სწრაფი ტემპის შედეგად რესპუბლიკაში შეიქმნა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალი, მიღწეულია მეცნიერების და კულტურის განვითარების მაღალი მიზნები, ორსებითად ამაღლდა მოსახლეობის კეთილდღეობის დონე. 1987 წელს 1913 წელთან შედარებით საქართველოს სს რესპუბლიკაში წარმოებული ეროვნული შემოსავალი 175-ჯერ გაიზარდა, სამრეწველო წარმოების მოცულობა — 230-ჯერ, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია — 10,9-ჯერ. ეს შედეგად მოყვა საბჭოთა საქართველოში თანამედროვე ინდუსტრიის, სამშენებლო და სატრანსპორტო კომპლექსების, მრავალპროფილიანი აგროარეული სექტორის შექმნასა და საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას.

რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარებაში დიდი ბერკეტი ხდება საარაგნაზო პერიოდის წინა თხუთმეტწლეულში. 1976-1990 წლებში (მეთორმეტე ხუთწლეულის დაკავშირებით გათვალისწინებით) რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი 2,3-ჯერ გაზრდილა, სამრეწველო წარმოების მოცულობა — 2,3-ჯერ, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა — 1,7-ჯერ. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება მოიმატებს 2-ჯერ, ხოლო მოსახლეობის რეალური შემოსავალი ერთ მეცხვრეზე გაანგარიშებით — 1,8-ჯერ.

ამის შედეგად ითხმეციანი წლების დამლევისათვის საქართველოს სს რესპუბლიკას ექნება გაზრდილი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, რომელიც მისი სახალხო მეურნეობის „შემდგომი განვითარების ეკონომიკური ბაზა გახდება. 1990 წელს ძირითადი ფონდების ღირებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში 43 მილიარდ მანეთს მიაღწევს, აქედან საწარმოო ფონდებისა — 28,8 მილიარდ მანეთს. ამ დროისათვის საზოგადოებრივ მეურნეობაში დასაქმებული იქნება 2320 ათასი მუშა და მოსამსახურე და შეიქმნება 26 მილიარდი მანეთის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, 12 მილიარდი მანეთის ეროვნული შემოსავალი, 13,9 მილიარდი მანეთის სამრეწველო და 3,8 მილიარდი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

საქართველოს სსრ ეკონომიკა, რომელიც ქვეყნის ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსის ორგანული ნაწილია, სპეციალიზებულია სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების, შავი ლითონების, ელექტროტექნიკური, ელექტრონული და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოებაზე. საქართველოს სსრ წილად მოდის ჩაის საერთო-საკავშირო წარმოების 93,4 პროცენტი, ციტრუსების — 96,9 პროცენტი, ხილის — 6,4 პროცენტი, ყურძნის — 10,8 პროცენტი, ბიბლიოსტენულის კონსერვებისა — 4,2 პროცენტი. მნიშვნელოვანია საქართველოს სსრ მონაწილეობა შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში მრეწველობის პროდუქციის წარმოებითაც. კერძოდ, მის წილად მადის მოპოვების 25 პროცენტი, ფერროშენადნობთა წარმოების 22,3 პროცენტი, მაგნიტალური ელმავლების 33 პროცენტი და ა. შ. რესპუბლიკის ეკონომიკის სპეციალიზაციის დიდმნიშვნელოვანი სფეროა საკუთრობრივ მეურნეობა და ტერიზმი. საქართველოში ყოველწლიურად ისვენებს რამდენი მილიონი კაცი, რომლებიც ჩამოდიან სხვა რესპუბლიკებიდან, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

1980-1986 წლებში პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგობრივ-ტერიტორიული ბალანსის მონაცემებით, რესპუბლიკიდან ქვეყნის სხვა რეგიონებში საშუალოდ წელიწადში გადიოდა დაახლოებით 2 მილიარდი მანეთის წარმოების საშუალებები და 3,5 მილიარდი მანეთის მოხმარების საგნები. გატანილი პროდუქციიდან უწონრესად უნდა აღინიშნოს: მაგნეზიმის მადანი — 1,3 მილიონი ტონა, ხილბოსტეულის კონსერვები — 510 მილიონი პირობითი ქილა, პირველადი დამუშავებისა და დაფასოებული ნატურალური ჩაი — 141 ათასი ტონა, მეღვინეობის პროდუქცია და ფართო ასორტიმენტის სახალხო მოხმარების საქონელი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში არსებით როლს ასრულებს სატრანსპორტო სისტემა, რომელიც წარმოდგენილია ყველა სახეობით, გარდა სამდინარისა. რკინიგზის მაგისტრალური ხაზების სიგრძე 1580 კილომეტრია, ხოლო მყარსაფარიანი საავტომობილო გზებისა — 20 ათასი კილომეტრი.

რესპუბლიკას აქვს განვითარებადი სამშენებელო ბაზა, რომელიც შეუძლია ყოველწლიურად უზრუნველყოს 2,5 მილიარდ მანეთამდე ძირითადი ფონდების ამოქმედება.

საქართველოს სსრ ეკონომიკის მზარდი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. რესპუბლიკის მრეწველობაში დადგმული ავტომატური ხაზების რაოდენობა 1971-1987 წლებში გაიზარდა 6-ჯერ და შეადგინა 558 ერთეული, მექანიზებული ნაკადური ხაზებისა — 2,4-ჯერ და შეადგინა 3425 ერთეული, კომპლექსურ-მექანიზებული და ავტომატიზებული უბნებისა — თითქმის 3-ჯერ და შეადგინა 2533 ერთეული. რესპუბლიკაში მუშაობს 154 სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია, სადაც დასაქმებული 28 ათასი მეცნიერი მუშაკი. 1987 წელს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვმა 619 ათასი შეადგინა ნაცვლად 1960 წლის 191 ათასისა.

სოციალური განვითარების დარგში დიდმნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს რესპუბლიკის შრომითი პოტენციალის გამოყენების განუწყვეტელი გაუმჯობესება. 1976-1990 წლებში სახალხო მეურნეობაში ჩაებმება 570 ათასი კაცი. ამის შედეგად შრომითი რესურსების დასაქმების დონე მეორმატეტ ხუთწლიდის დამლეგისათვის 92 პროცენტს მიაღწევს.

რესპუბლიკაში თანამიმდევრულად ხორცელდება მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების კურსი. 1976-1990 წლებში მოხმარებისა და არასაწარმოო მშენებლობისათვის გათვალისწინებული ეროვნული შემოსავლის რესურსი ექნება 1,9-ჯერ გაიზრდება. ამ პერიოდში ქალაქებისა და დაბების სახნაო ფონდი 1,5-ჯერ გაიზრდება და 49,3 მილიონ კვადრატულ მეტრს მიაღწევს. ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებით უზრუნველყოფა 1990 წელს 62 პროცენტს მიაღწევს ნაცვლად 1975 წლის 25,4 პროცენტისა. 1976-1990 წლებში აშენდება ზოგადაგანმანათლებლო სკოლები 441 ათასი სამოსწავლო ადგილით, პოლიკლინიკები ცვლაში 27,6 ათასი პაციენტის მიღებისათვის, საავადმყოფოები — 16,3 ათასი საწოლით, სანატორიუმებსა და დასასვენებელ დაწესებულებებში საწოლების რიცხვით საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მე-3 ადგილი უკავია რუსეთის სფსრ და უკრაინის სსრ შემდეგ.

რესპუბლიკის საწარმოო ძალთა დაჩქარებული და კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფაში დიდ როლს ასრულებს შრომის საკავშირო დანაწილების საფუძველზე დამყარებული რესპუბლიკათაშორისი ეკონომიკური კავშირები, რომელთა არხებით საქართველოში ყოველწლიურად შემოდის წარმოების საშუალებათა მნიშვნელოვანი რესურსები და მოხმარების საგნები. 1980-1986 წლებში, ზემოაღნიშნული დარგთაშორისი ბალანსის მონაცემებით საქართველოს სს რესპუბლიკაში საშუალოდ წლიურად შემოდიოდა 5 მლრდ. მანეთის ფასრამოების საშუალებები და მოხმარების საგნები. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაანგარიშებით, 1985 წელს შემოტანილი პროდუქციის წილმა მისი მოხმარების საერთო მოცულობაში შეადგინა: სათბობისამ — 46 პროცენტი, შავი მეტალურგიის ნაწარმისამ — 73 პროცენტი, ფერადი მეტალურგიის ნაწარმისამ — 93 პროცენტი, ქიმიური მრეწველობის პროდუქციისამ — 65 პროცენტი, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების ნაწარმისამ — 56 პროცენტი, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციისამ — 37 პროცენტი, ქვეყნის მრეწველობის პროდუქციისამ — 21 პროცენტი. საქართველოში საშალოდ წელიწადში შემოგვაქვს 13 მილიონი ტონა პირობითი სათბობი; აქედან 5,6 მილიონი ტონა ნავთობპროდუქტები, 4,5 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი ბუნებრივი გაზი, 630 ათასი ტონა შავი ლითონების ნაგლინი, 260 ათასი ტონა ფოლადის მილები, 100 ათასი ტონა ალუმინიანი სასუქები, მილიონ ტონაზე მეტი ცემენტი, 2,3 მილიონი კუბური მეტრი სამასალე მერქანი, 1,2 მილიონი კუბური მეტრი დაწრეხილი ხე-ტყე, დიდძალი სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო ტექნიკა, მანქანათმშენებლობის სხვა პროდუქცია და მრავალგვარი სახალხო მოხმარების საქონელი.

წარმოების საშუალებების შემოტანასთან ერთად, რომლებიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მეტი წილი დარგების უზრუნველყოფენ, დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკასთან ბიუჯეტის გასავლის ნაწილის მოწოდებას საერთო-საკავშირო ფონდიდან, რაც დაახლოებით 65-72 ათას ტონა ხორცსა და 840-900 ათას ტონაზე მეტ რძეს, ანუ შესაბამისად მათი საერთო მოხმარების 26 და 56 პროცენტს შეადგენს. ეს საშუალებას გვაძლევს რესპუბლიკის მეცნიერმოყვარის პირობიერი რაციონალურად გამოვიყენოთ სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების მოყვანისათვის მისი ნელსაყრელი ნაადგილობრივ-კლიმატური პირობები.

ზემოაღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რამდენად მჭიდროა საქართველოს ეკონომიკური კავშირურთიერთობა ქვეყნის სხვა რეგიონებთან და რა დიდ როლს ასრულებენ ისინი რესპუბლიკის ეკონომიკის ფუნქციონირებაში სსრ კავშირის ერთიანი სახალხოსამეურნეო კომპლექსის ფარგლებში.

საწარმოო ძალთა განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში მიღწეული უდავო წარმატებების მიუხედავად საქართველოს სსრ ეკონომიკის მიღწეული დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს. ეს უწონრეს ყოველისა ელინდების სახალხო მეურნეობის სტრუქტურის, მისი წამყვანი დარგების განვითარების ტემპისა და პროპორციების, სახოგადოებრივი წარმოების, კომპლექსურობის, საერთო-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწეული დონის ანალიზისას განსაკუთრებით საშიალო საკავშირო პარამეტრებთან შედარებისას.

ცნობილია, რომ ეროვნული შემოსავალი — მატერიალური წარმოების სფეროში ახლად შექმნილი ღირებულება — ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უყველაზე განმაზოგადებელი მაჩვენებელია, გაფართოებული კეთილშობილმყოფელობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წყაროა. ამიტომ საზოგადოება მხოლოდ მაშინ შეძლებს მიაღწიოს ეროვნული ეკონომიკური-ეკონომიკური პროგრესს, თუ განუწყვეტლად, სწრაფი ტემპით გაადიდებს ეროვნული შემოსავლის მოცულობას.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში რესპუბლიკაში აღინიშნება ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპის შენელება. მაგალითად, მეთრმეტე ხუთწლედში ეროვნული შემოსავლის მატების საშუალო წლიური ტემპმა 4,9 პროცენტი შადგინა, ხოლო 1986-1987 წლებში— 2,7 პროცენტი ნაცვლად 3,2 პროცენტისა საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში. ამის შედეგად ეროვნული შემოსავლის წარმოების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში ანალოგიურ საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით 1985 წელს 99 პროცენტიდან 1987 წელს 92,4 პროცენტამდე შემცირდა. ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპის შენელება ერთ-ერთი მიზეზი გახდა ფინანსური სიძნელეებისა, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები ვერ უზრუნველყოფს მისი გასავლით გათვალისწინებულ ღონისძიებათა ნორმალურ დაფინანსებას. სწორედ ამიტომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის გეგმის მოცულობით მაჩვენებლებთან რესპუბლიკის ბიუჯეტის გასავლის ნაწილის შეწონასწორების მიზნით რესპუბლიკას საკავშირო ბიუჯეტიდან უკვე მიეცა 150 მილიონამდე მანეთი.

ასეთ პირობებში, სპეციალისტთა და მეცნიერთა აზრით, პერსპექტიული განვითარების ერთადერთი სწორი გზაა ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპის დაჩქარება, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია მთლიანად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მატერიალური წარმოების დარგთა განვითარების დაჩქარებაზე.

რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება უწონრესად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის ინდუსტრიული დონის ამაღლებით, რადგან სწორედ მხეწველობა, მატერიალური წარმოების წამყვანი დარგი, არის ეროვნული შემოსავლის ძირითადი წყარო და მან უნდა შეასრულოს მთავარი როლი მრავალფეროვანი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის თანამედროვე სტრუქტურა ჯერ კიდევ არასაკმაოდ ინდუსტრიულია. კერძოდ, რესპუბლიკის მრეწველობის ზვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალში 4,1 პუნქტით დაბალია საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით. ამასთან, საქართველოს სს რესპუბლიკაში ეერ მცხოვრებზე იწარმოება 25 პროცენტით ნაკლები სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში. ამ მაჩვენებლითი იგი მე-8 ადგილზეა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის და ჩამორჩება რუსეთის სფს რესპუბლიკას 30 პუნქტით, უკრაინის სს რესპუბლიკას 16 პუნქტით, ბელორუსიის სს რესპუბლიკას 28 პუნქტით. ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ის აგრეთვე ბალტიისპირეთის და სომხეთის რესპუბლიკებს. ჩვენთან მრეწველობაში დასაქმებულთა წილი სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საერთო რიცხვში მხოლოდ 19,4 პროცენტს შეადგენს, მაშინ როდესაც საშუალოდ სსრ კავშირში იგი 25 პროცენტია.

არასრულყოფილია თვით მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურაც. მძიმე მრეწველობის დარგების წილი ფასიან უბლეკად საშუალო საკავშირო დონეს 28 პუნქტით ჩამორჩება. საქართველოში მანქანათმშენებლობის, ამ ყველაზე მაღალკვალიფიციური შრომის გამოყენებისა და დიდად რენტაბელური დარგის წილად მოდის სამრეწველო პროდუქციის მხოლოდ 14,5 პროცენტი, მაშინ როდესაც საშუალო საკავშირო დონე 28 პროცენტია. ამ მაჩვენებელით საქართველოს უსწრებენ: უკრაინა — 15 პუნქტით, ლატვია — 12 პუნქტით, ლიტვა — 8,7 პუნქტით, ყირგიზეთი — 11 პუნქტით, სომხეთი— 14,5 პუნქტით.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

დიდი ეროვნული ზეიმი

საიუბილეო დღიური

დღეს, 11 ოქტომბერს საზეიმოდ იხსნება და 16 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 70 წლისთავისათვის მიძღვნილი საიუბილეო დღეები.

მრავალფეროვანი და საინტერესოა საიუბილეო ღონისძიებათა მონაწილეებისა და სტუმრებისათვის გათვალისწინებული სამეცნიერო და კულტურული პროგრამა.

11 ოქტომბერს ზეიმის მონაწილეები დაესწრებიან შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლს.

12-14 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება ქართველოლოგიური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა თანამედროვე პრობლემების საერთაშორისო სიმპოზიუმების პლენარული სხდომები და სექციური მუშაობა.

12 ოქტომბერს საიუბილეო დღეების მონაწილეებისა და სტუმრებისათვის, რომელთა შორის იქნებიან მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს, ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტების წარმომადგენლები, სიმპოზიუმების მონაწილენი, მოეწყობა ექსკურსიები ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო და ხელოვნების მუზეუმებში, ძველ თბილისში, მხატვრის სახლში გაიხსნება ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

13 ოქტომბერს სტუმრები გაეცნობიან ისტორიულ ძეგლებს საგარეჯოს და თეთრი წყაროს რაიონებში, შეხვდებიან ადგილობრივ შრომით კოლექტივებს. საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხატვრული თვითმოქმედების რეტრო-კონცერტი „თაობათა გადაძახილი“.

14 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში ზეიმის მონაწილეები, სტუმრები ცოცხალი ყვავილების თაიგულებით, გვირვანებით შეამკობენ უნივერსიტეტის დამაარსებელთა ძეგლებს, დაესწრებიან დიმიტრი უზნაძისა და აკაკი შანიძის ძეგლებს, საიუბილეო გამოფენის გახსნას.

ამავე დღეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართება **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.**

15 ოქტომბერს საიუბილეო დღეების სტუმრებისა და სიმპოზიუმების მონაწილეთათვის ჩატარდება ექსკურსიები ქუთაისში — ბაგრატის ტაძარში და გელათში, კასპის რაიონში — ხოვლეში ივ. ჯავახიშვილის სახლმუზეუმში, ჯვარზე, სვეტიცხოველში, ძალისში.

16 ოქტომბერს იუბილეს ბოლო დღეს ზეიმის მონაწილეებს საშუალება ექნებათ გაეცნონ დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებას — დაათვალიერონ ზ. წერეთლისა და მ. ბერძენიშვილის სახელოსნოები, დაესწრონ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლს, ქუთაისში მყოფი სტუმრები, ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მონაწილეები კი მოაწყობენ ექსკურსიას ვანის არქეოლოგიურ გათხრებზე.

ამით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეების პროგრამა დასრულდება.

საკვები მთავარი საზრუნავია

ცხარე დღეები აქვთ ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარის კოლმეურნეობის საკვების დამზადებლებს: სასილოსედ იღებენ სიმინდს. მექანიზატორები ვარაუდობენ, რომ გეგმით გათვალისწინებული 1020 ტონის ნაცვლად ზამთრისათვის მოიმარაგონ 1200 ტონა სილოსი.

ზუსტად გრაფიკით შრომობენ ვახტანგ სურმავას ბრიგადის ტრაქტორისტები.

სურათებზე: მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზატორი ჯანიკო კარაბაშვილი; სასილოსე სიმინდის ალება სოფელ ჯიხაშკარის კოლმეურნეობაში.

საქინფორმის ფოტო.

სახალხო დღესასწაულები

„შენი დიდების მომღერალია ოშკი და ზარზმა“

ამ პოეტურმა მეტაფორამ თავად შეახსენა თავი ქართველი ერის შესანიშნავი კულტურულ-არქიტექტურული ძეგლის ზარზმის მონასტრის გალავანთან შეკრებილთ. 9 ოქტომბერს აქ გაიმართა ტრადიციული სახალხო დღესასწაული ზარზმაზა, რომელიც ამ ძველი მხარის აღორძინებას მიეძღვნა.

დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად აქ ჩამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, სტუმრები აჭარიდან და ახლომდებარე რაიონებიდან.

...ზზზიანი შემოდგომის ფერებმა განუმეორებელი სილამაზე მიანიჭა სახალხო ზეიმს. უნიკალური მონასტრის ტერიტორიის გვერდით მოეწყო რაიონის სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. თითოეულმა სოფელმა დამთვალიერებელთა სამსჯავროზე გამოიტანა თავისი შრომის ნაყოფი და ეს ექსპოზიცია ადგილელთა საქმეებისა და ფიქრების თავისებური ანატაკი გახდა.

დღესასწაულის მონაწილეთა მზერა მიპყრობილი იყო ზარზმის მონასტრის, ისტორიის იმ უტყვი მოწმისადმი, რომელმაც თანამედროვეებს შემოუნახა უნიკალური მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ცენტრთან დაკავშირებულია ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა სახელები, რომლებთაც სამართლიანად ამაყობენ მათი შთამომავლები.

დღესასწაულზე გამოსულმა ორატორებმა — აკადემიკოსმა ელეფანენკოს, სოფლის მშრომელების, ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა ზეიმზე ბევრნაირად მოეფერნენ ძველ ზარზმეს, ამ მხარეში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებანი მეხსიერ-ჯაგანთის შემდგომ განვითარების საწინდარია.

სახალხო ზეიმის მონაწილეებს გულითადად მიუღიოცეს დღესასწაული პოეტმა ჯანსუელ ჩარკვიანმა და მწერალმა, პროფესორმა ლევან სანიკიძემ, მათი ლმენილი, მხარის მშრომელები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ იმისათვის, რომ ამ ისტორიულ ადგილებში მძლავრად ეღერღეს ქართული სიტყვა და მუსიკა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ადიდებდა საამშობლოს სიყვარულს, ნათელი იდეალების ერთგულებას, ხალხთა მეგობრობას და ძმობას, ქადაგებდა ეროვნული ტრადიციებისა და ღირებულებების უთრიერთპატივისცემას.

დღესასწაული დაამშვენა რაიონის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა გამოსვლამ. მსმენელები გაბარა მომღერალმა კოლექტივმა „მესხეთმა“, რომელმაც ადორძინება და ახალი სიცოცხლე შთაბერა რამდენიმე დავიწყებულ ძველ მესხურ ხალხურ სიმღერას.

დღესასწაულის მონაწილეებმა დაათვალიერეს მეორე უნიკალური ისტორიული ძეგლი — ოჭოსციხის ნაგებენები.

(საქინფორმი).



ოფიციალურ ვიზიტად

10 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ფრანც ვრანიცკი.

აეროდრომზე ფ. ვრანიცკისა და მის მეუღლეს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი მეუღლითურთ და სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

საქართველოს სსრ შეაღლმხი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკური სამინისტრო და გაუქმდეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. ბილასვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კეკენაძე.

თბილისი. 1988 წლის 10 ოქტომბერი.

იქ, სადაც აზეიმებენ მოსავლიანობას

რაზეც უკვე ვიუწყებოდით, 3 ოქტომბერს ტყიბულის ლენინის სახელობის მაბატის მეზეთე უბანში მოხდა მეთანაყარის ნარევის აფეთქება, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. ამ ადგილ სანერგეში მომზადებულ რვა მეშახტიდან ოთხი დაიღუპა. რამდენიმე დღის შემდეგ ძლიერი დამწვრობის შედეგად კიდევ ორი გარდაიცვალა. დარჩენილი ორი სიცოცხლის გადასარჩენად ახლა იბრძვიან თბილისის დამწვრობის რესპუბლიკის ცენტრის ექიმები.

8 ოქტომბერს ტყიბულში იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი. იგი გაეცნო აფეთქების მიზეზების გამოძიებლებსა სამთავრობო კომისიის, სპეციალური სამთო-მაშველი ქვეგანყოფილების მუშაობას, რომლებმაც ადამოფხვრეს ხანძრის შედეგები. ჯ. ი. პატიაშვილმა მოინახულა დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახები, მიესამძიმრა თავდაცხადილი დიდი უბედურების გამო, გამოიკითხა, რა დახმარებას და მხარდაჭერას უწევენ მათ. ქალაქის ხელმძღვანელი პარტიელ და საბჭოთა მუშაკებთან, ბატის ხელმძღვანელობასთან შეხვედრებისა და საუბრების დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ დაღუპულ და დაზარალებულ მეშახტეთა ოჯახებს არ უნდა მოაკლონ სითბო და ყოველმხრივი მზრუნველობა. (საქინფორმი).

2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითადი დებულებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული ბაზის ჩამორჩენა. რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე იწარმოება ორჯერ ნაკლები ელექტროენერგია, ვიდრე საშალალოდ სსრ კავშირში. 1990 წლისათვის საქართველოს ელექტრობალანსში დეფიციტი 2,8 მილიარდ კილოვატსაათს შეადგენს. ელექტროენერგეტიკას ჩამორჩენა აფერხებს არა მარტო მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას, არამედ დიდ სიძნელეებს ქმნის ელექტროენერგიით მოსახლეობის უზრუნველყოფაში.

რესპუბლიკაში უმთავრესად მრეწველობაში და განსაკუთრებით მძიმე მრეწველობაში დასაქმებულთა დაბალი ხვედრითი წონის გამო მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის დონე საკავშირო მაჩვენებელზე 15 პროცენტით დაბალია.

ეს მნიშვნელოვან წონად ასაბალეს იმ სტრუქტურული პოლიტიკის ნაკლოვანებებს, რომელიც ორიეიელებოდა IX-XI ხუთწლედების მანძილზე, როცა მძიმე მრეწველობის დარგების — ელექტროენერგეტიკის, ქიმიური მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის უპირატესი განვითარების დაჯილაბათა სისტემატიური შეფასულებლობის პირობებში რესპუბლიკა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოების დადგენილ მიზნებს აღწევდა კვების მრეწველობის, კერძოდ, ჩაისა და მეღვინეობის პროდუქციის ზეგამეთი გამოშვების ბაზით. 1971-1985 წლებში მძიმე მრეწველობამ ხუთწლიან გეგმებს დააკლო 450 მლნ. მანეთზე მეტი პროდუქცია. მაშინ როდესაც კვების მრეწველობამ დაკლების — გადაჭარბებით გამოუშვა 700 მლნ. მანეთის პროდუქცია. ყოველივე ამას მოჰყავა არა მარტო სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის სტრუქტურის დეფორმაცია, არამედ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის პოტენციალის შესუსტება, განსაკუთრებით მეჩაიეობაში, სადაც ქლანტაციებს მეტისმეტ ენერგიტევადობა ისიც, რომ ამ ბაზაზე ენერგიულ ხანგრძლივი დროის მანძილზე.

ამან გამოიწვია ისიც, რომ ამჟამად კვების მრეწველობის წილი სარეწველო წარმოების საერთო მოცულობაში შეადგენს 36,9 პროცენტს, მაშინ როდესაც საბთანდო საშუალო საკავშირო მაჩვენებელია 15,3 პროცენტი.

სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ნაკლოვანებებთან ერთად ჩამორჩება წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური დონეც. კერძოდ, რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ფონდშიერაოლება თითქმის 11 პუნქტით დაბალია საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით. 1971-1985 წლებში შრომის ელექტროშეიარაღება საშუალოდ ქვეყნის მრეწველობაში 1,6-ჯერ გაიზარდა, რესპუბლიკის მრეწველობაში კი მხოლოდ 1,2-ჯერ, ენერგოშეიარაღება შესაბამისად — 1,6-ჯერ და 1,4-ჯერ. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში შრომის ენერგოშეიარაღება საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე 3-ჯერ ნაკლებია.

მნიშვნელოვნად აფერხებს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას შერჩნილი სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, აგრეთვე არსებული საოსტური პოტენციალის არასრული გამოყენება. საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტი 1985 წელს მანქანათმშენებლობის დარგებში არ აღემატებოდა 71,2 პროცენტს, ხოლო ქიმიური ბოჭკოს წარმოებაში — 72 პროცენტს; დაბალი იყო ეს კოეფიციენტი მინერალური აზოტოვანი სასუქების (33 პროცენტი), ფაიფურ-ქაშაურის (52 პროცენტი), ბამბეულის ქსოვილების 65 პროცენტი) და ბევრ სხვა წარმოებაში. ვერ ვიყენებთ კომპლექსების სიმძლავრეებს რძის წარმოებაში — სანახეაროდ, ხორცის წარმოებაში — ერთ მეოთხედს, მცირეა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმრავლესობის მოსავლიანობა, მათ შორის სარწყავ და მელიორირებულ მიწებზე. საათანადოდ ვერ ვიყენებთ საქართველოს სსრ უნიკალურ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს ხილის, ბოსტნეულის, ციტრუსების წარმოების მომატებისათვის.

არსებითი ხაკლოვანებებია კაპიტალურ მშენებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი გადაუჭრელი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები გვაქვს, 1971-1987 წლებში რესპუბლიკაში ვერ აკეთებისეთ თითქმის 800 მლნ მანეთის კაპიტალური დაბანდებანი.

გარკვეული სიძნელეებია რესპუბლიკის სატრანსპორტო სისტემის მუშაობაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გაყვანილია რკინიგზის მეორე ლიანდაგები (280 კმ), მისი გამტარუნარიანობა ვერ მატულობს სდგურების, კერძოდ, სამტრედიის კვანძის რეკონსტრუქციის სამუშაოთა ჩამორჩენის გამო. ეს მნიშვნელოვნად აძნელებს საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკურ კავშირურთერთობას სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან. ამიერკავკასიის რკინიგზით საქართველოში ყოველწლიურად შემოდის დაახლოებით 35 მილიონი ტონა და გადის 17 მილიონ ტონამდე ტვირთი. სახალხო-სამეურნეო ტვირთის დიდი ნაწილი ჩრდილოეთიდან რესპუბლიკაში შემოდის აზერბაიჯანის რკინიგზით, რის შედეგადაც თითქმის 1000 კილომეტრით იზრდება ტვირთზიდვის მანძილი, მატულობს ტრანსპორტის ხარჯები, ჭნირია შეფერხებები ტვირთზიდვაში, რის შედეგადაც ირღვევა ეკონომიკის ფუნქციონირების ნორმალური რიტმი.

ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნების ვერ აკმაყოფილებს რესპუბლიკის საავტომობილო გზები. საქართველოს სს რესპუბლიკაში პრაქტიკულად არ არის I კატეგორიის გზები. საავტომობილო გზამ ლესელიძე-თბილისი-წყნეთი ხიდი და ზოგიერთმა სხვა გზამ უკვე ამოწურა თავისი, გამტარუნარიანობა. ამან საქართველოს მთიანი რელიეფის პირობებში, სადაც ავტოტრანსპორტის წილად მოდის ტვირთბრუნვის 91 პროცენტი და მგზავრთა გადაყვანის 97 პროცენტი, შეიძლება არსებითად შეაფერხოს საწარმოო ძალების განვითარება, სოციალური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა.

რესპუბლიკის სამეურნეო განვითარებაში არსებული ჩამორჩენა განაპირობებს მთელი რიგი გადაუჭრელი პრობლემების არსებობას სოციალური ცხოვრების სფეროში, მოსახლეობის დარგობრივ განვითარებაში. განსაკუთრებით სერიოზული სიძნელეებია ფუთის მიმოქცევაში. საცალო საკონსერბონეულისა და ფასიანი მომსახურების ზრდის არასაკმარისი ტემპის გამო რესპუბლიკაში ყოველწლიურად დაიზოგებოდა 0,5-0,8 მილიარდი მანეთით ნაზრდი ნეფერ ეროვნული ეკონომიკური ეფექტიანობა. ეს ფაქტორები ერთ-ერთ ძირითადი მიზეზია ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპების ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ურთიერთკავშირ-ურთიერთქმედებაში ჩამორჩენის, ეროვნული შემოსავლის ეფექტიანობის ზრდა ეროვნული შემოსავლის ზრდაზე ნაკლებ სწრაფად ხორციელდება. ეროვნული შემოსავლის ზრდა ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობ

2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითადი დებულებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

იმის გამო, რომ რკინიგზის ტრანსპორტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საწარმოო ძალების განვითარებასა და სახალხო მეურნეობის ეფექტიან ფუნქციონირებაში, უნდა გადაწყვეს თბილისის რკინიგზის კვანძის შემოსასვლელი გზის, აგრეთვე რკინიგზის მთელი რიგი ადგილობრივი ხაზების (ახალქალაქი-ახალციხე, წნორი-ლაგოდეხი-ბალაქანი), აგრეთვე სპარგალოს პერიოდის დაძლევისათვის ჩრდილოეთის შემოსავლელი გზის (ტბილისი-ყვავილოვანი-ბანთალეფსიხოვი-ალაზანი-ბზორიანი-ყუთაისი-ბაკურიანი-ბაკურიანი-ბორჯომი-ბაკურიანი-ბაკურიანი-ბაკურიან

უცხოეთი

საქმიანი იუწყება

10 ოქტომბერი

ირლანდია

ძიებენ თანამშრომლობის გზებს

● **დუბლინი.** აქ მუშაობას შეუდგა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნების კომუნისტური პარტიების კონფერენცია. ბელგიის, დანიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ესპანეთის, საბერძნეთის, პორტუგალიისა და საფრანგეთის დელეგაციები დუბლინში ჩავიდნენ ირლანდიელ კომუნისტთა მიწვევით, რათა გაანიხილონ შესაძლო თანამშრომლობის გზები ისეთ პირობებში, როდესაც სულ უფრო ძლიერდება დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია.

ამჟამად ჩვენ ვხედავთ მისწრაფებას პოლიტიკურ და ეკონომიკურ კოოპერაციას დიამტის ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების ფარგლებში თანამშრომლობაც სამხედრო დარგში, აღნიშნა დანიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა. შარშან რატიფიცირეს „ერთიანება ევროპის აქტი“ ევროპის ერთიანი ბაზრის შექმნის შესახებ არსებითად შეზღუდა ეროვნული სუვერენიტეტი. „ვეტოს“ უფლების გაუქმების შემდეგ, ევროპარლამენტში ცალკეულ ქვეყნებს, განსაკუთრებით ისეთ პატარა სახელმწიფოებს, როგორიც არის დანია, გაუჭირდებათ განხორციელონ დამოუკიდებელი პოლიტიკა განიარაღების დარგში.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა ჯ. პო�კა, კონფერენციის დელეგატებს მოუწოდა არ შეშინდნენ „საერთო ბაზრის“ პრობლემების განხილვით. „სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ინიციატივების მეოხებით ახლა შესაძლებელი გახდა ევროპის ყველა ხალხებმა ითანამშრომლონ ატლანტიკიდან ურალამდე, — ზაზი გაუსვა მან. — დასავლეთ ევროპის მემარცხენე და პროგრესულმა ძალებმა ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი ამ იდეის განხორციელებას“.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ნიუ-იორკი.** თეთრმა სახლმა არაოფიციალური წესით მიიღო გადაწყვეტილება არ მოსთხოვოს კონგრესს ნიკარაგუელი კონტრასებისათვის 18,5 მილიონი დოლარის იარაღისა და ტყვია-წამლის გამოყოფა. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ კონტრასებისათვის სამხედრო დახმარების გაწევა, რისთვისაც ისინი იღვწიან, გაფრკვეული ხნით გაჭიანურდება.

● **პარიზი.** კანში, საფრანგეთის სამხრეთში, შაბათს გაიხსნა კინოფოროგრამებისა და ტელეფილმების II საერთაშორისო ფესტივალი. მაყურებლები და ეიფორის წევრები ხუთი დღის განმავლობაში ნახავენ 20 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის, 108 ფილმს.

● **ბეირუთი.** ისრაელი ოკუპანტებისა და მათი დაკრავებულების წინააღმდეგ ოპერაციების ხერხი მოაწყვეს განსვენილ ორ დღე-ღამეში პარტიზანებმა ლიბანის სამხრეთში. ნახევარ საათს გაგრძელდა ბრძოლა ბანბაის მიდამოებში თელეთინუშეკეიის მაღლობის რაიონში. დახახლებული პუნქტების ზაგლიხა და ალ-ბე�ლის მახლობლად მარიონეტული „სამხრეთ ლიბანის არმიის“ პოზიციებს ავტომატებისა და ხელყუმბარების ცეცხლი დაუშინეს.

● **ლუსაკა.** სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელობა და და ინდოეთის ნაციონალ კონგრესისა და ინდოეთის ტრანსპორტის კონგრესის დელეგაციის წევრები ერთობლივის შუბდნენ ლუსაკაში, სადაც ინილავდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დემოკრატიული რასთაშორისი საზოგადოების უსწრაფესი შექმნის გზებს.

ფოტოინფორმაცია

● **თურქეთი**

ქურთების პრობლემა კვლავ აქტუალურია

ბონი მონაცემებით ამჟამად ახლო და შუა აღმოსავლეთში დაახლოებით 20 მილიონამდე ქურთი ცხოვრობს, მათ შორის 10 მილიონი თურქეთში, 6 მილიონი ირანში, 3 მილიონი — ერაყში და 1 მილიონი სირიაში. ფორმალურად ქურთებს, როგორც ამ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც შეკიდრ ეროვნულ წარმომადგენლებს (თურქებს, სპარსელებს, არაბებს). ეს კი, რომ არსებითად მათ არ ეძლევა ცალკე ერად, რომელსაც უფლება აქვს შექმნას საკუთარი ეროვნულ-ტერიტორიული ბაერნიანება, თუნდაც ქვეყნების ფარგლებში.

ქურთების პრობლემა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში დღემდე საჭირბოროტოა. მისი არსი წინააღმდეგობრივია, ერთია ქურთთა ეროვნული თვითშეგნების დონის ზრდა, რომელიც გამოიხატება ეროვნული თვითგამორკვევისათვის შეუპოვარ ბრძოლაში, მეორე კი ის, რომ ამ ქვეყნების მმართველ ერებს ჯერ-ჯერობით არ სურთ ცნონ ქურთი ხალხის კანონიერი უფლებები.

ხუთაშუა: ქურთი ლტოლვილების ბანაკი სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში.

აპ-საკადესინი ფოტო.



რედაქციის მისამართი:

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14

ტელეფონები:

მისაღები — 93-95-54,
მმართველთა ნერილების განყოფილება — 99-73-24

საკორესპონდენტო პუნქტები:

სოხუმში — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; სამტრედია — 2-19-90; ზუგდიდი — 2-28-40; ტყიბული — 25-82; თელავი — 3-12-09; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; სოფლები — 3-20-77. ახალციხე — 2-03-15.

მიტინგი იპოდრომზე

ჩადენილია დანაშაული. თვრამეტი წლის ქალიშვილს ნამუსი ახადა მოძალადემ. ეს რამდენიმე დღის წინ მოხდა მარნეულის რაიონის სოფელ ორკონიკიძის მახლობლად. მოძმედარი ფაქტი გვაცნობეს როგორც რესპუბლიკის ტელევიზიამ, ისე პრესამ. ამ ცნობას არ შეიძლებოდა არ აღეშფოთებინა ხალხი, ისევე როგორც აღგაშფოთა ყველანი დუშეთში, ზუგდიდში, თბილისში ჩადენილმა ასეთივე დანაშაულმა. ნაძირალები, რომლებმაც ეს ბოროტმოქმედებანი ჩაიდინეს, მათი ეროვნების მიუხედავად, მხოლოდ სამართლიან გულისწყრომასა და ზიზღს იწვევენ. ბუნებრივია, ყველას მიეგო და მიეგება საკადრისი, კანონი მათ ჯეროვანს მიუზღავს.

ამ მხრივ არც უკანასკნელ შემთხვევაში გვეპარებოდა ექვი. მაგრამ ცალკეული პირნი შეეცადნენ სამართლის დანაშაულისათვის პოლიტიკური ელფერი მიეცათ, გაეღვივებინათ ნაციონალისტური განწყობიღება, ერთმანეთისთვის წაეკიდებინათ ქართველები და აზერბაიჯანელები, რომლებიც მარნეულის რაიონში ცხოვრობენ. თანაც მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ დამნაშავე ეროვნებით აზერბაიჯანელია.

ჩვენს წინაშეა აშკარა პროვოკაცია. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც ასე გართულდა ეროვნებათშორისი ურთიერთობა მეზობელ რესპუბლიკებში. პროვოკაცია კი მიზნად ისახავდა გამოეწვია ეროვნებათშორისი შფოლი და მტრობა.

ისინი შეიარაღდნენ კარგად ნაცნობი, ლამის ისტორიიმდელი, გაცვეთილი ხერხით. თავისი მიზნებისათვის გამოიყენებინა ჩაეგონილი დანაშაულით გამოწვეული ბუნებრივი გულისწყრომა, შეეცადა ესარგებლა ამ ავკაცობით თავის ბინძურ თამაშში. საქმე ეხება ზ. გამსახურდიას, მ. ჯოსტუას, ი. წერეთლის, გ. ჭანტერიასა და სხვათა ჯგუფს.

მაგრამ, მოდით, რიგით მივყვეთ. დანაშაულის ჩადენის შემდეგ მოგლეზნა ასე ვითარდებოდა. 4 ოქტომბერს მოხდარი ამბით გარისხებული სოფელ ორკონიკიძის მცხოვრებნი მივიდნენ რაიონულ ცენტრში, და მოითხოვეს სასტიკად დაესაჯათ მოძალადე.

გაიგეს თუ არა მომხდარი ამბავი, გამსახურდიამ და ძმათა მისთა მიაშურეს მარნეულს, მერე უნივერსიტეტსაც, სადაც გაუყოდრართებულად, საკუთარი მონაჩმახის დამატებით გაიცნეს ახალგაზრდებს მარნეულის რაიონში შექმნილი სიტუაცია. მიზნის? გამოეწვიათ სტუდენტთა გულისწყრომა.

ამასობაში ვითარება სოფელ ორკონიკიძეში სულ უფრო მწვავდებოდა, რასაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო 5 ოქტომბერს ორკონიკიძეში ჩასული რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელის არასწორმა, მცდარმა გამოთქმამ.

მეორე დღეს, 6 ოქტომბერს, ორკონიკიძეში სოფლის ყრილობა გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა. მონაწილეები პირუთვნელად ლაპარაკობდნენ, თქვეს თავიანთი პრობლემებიც. სხვათა შორის, ილაპარაკეს პრობლემებზე, რომლებიც აწუხებთ არა მარტო მათ, არამედ მარნეულის რაიონის ბევრ სხვა სოფელსაც, მიუხედავად იმისა, თუ ვინ ცხოვრობს იქ — ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები თუ ბერძნები. ეს არის, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ხასიათის პრობლემები. გამართულმა სპონტანურმა ბელი შეუწყო იმას, რომ ბევრმა ორკონიკიძელმა ყურად იღო გონების ხმა. თუმცა უმჯობესია მოვუსმინოთ ზოგიერთ მათგანს, იმათ, ვინც უშუალოდ მოხსწრეყობდა ყრილობაში.

— ზოგ-ზოგები ცდილობენ თავს მოგვახვიონ ის აზრი, თითქოს რაიონში „ქართველ მოსახლეობას ავიწროვებენ, — თქვა ჩვენს კორესპონდენტთან სოფლიდან ადგილობრივი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა მზია სამხარაძემ. — ამ გზით, თავიანთი კუთით, იხვეშენ იფფფსაან ავტორიტეტს. ჩვენს თავყრილობაზე არავის არ ეფლოდით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გარდა. ჩვენთან ჩამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რათა გაეანალიზებინა შექმნილი სიტუაცია, ჩვენთან ერთად დაესახა ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ რაიონში მორალური-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაჯანსაღებას, ინტერნაციონალიური აღზრდის გაძლიერებას, ხოლო ისინი, ვინც ცდილობს ჩამოგდოს ეროვნებათშორისი შფოლი, არ ფიქრობენ ჩვენზე, არ ფიქრობენ იმაზე, რომ რაიონში ჩვენ გვიწევს ცხოვრება სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა გვერდით.

— „მაყოფილებით მოვისმინე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის სწორი სიტყვები, — თქვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა მარიტ ბუეიროძემ. — მან უპასუხა ყველა იმ კითხვას, რაიონის მეცხოვრებთ რომ აწუხებთ. არ შემიძლია არ ვთქვა ისიც, რომ არამც და არამც არ შეიძლება ჩადენილი დანაშაული ვინმეს ეროვნებათშორისი ურთიერთობის ფოხზე. საღახანები ხომ არ განსაზღვრავენ ერის სახეს.

მეც სტუდენტი ვარ და ჩემთვის სრულიად გაუგებარია ზოგიერთი ჩემი თანატოლის პოზიცია, რომლებიც თავიანთი მოქმედებით უნებლიეთ უწყობენ ხელს ეროვნებათშორისი ურთიერთობის გაუარესებას, ვერ ამჩნევენ, რომ დაზარალდებულს ინტერესების დაცვის ლოზუნგით სულ სხვაგვარი ინტერესები ისახება.

— ეს ჩვენი საერთო უბედურებაა — თქვა ბაიერის საშუალო სკოლის დირექტორმა ელმარა ფაშაევამ, რომელიც ასევე მონაწილეობდა სოფლის ყრილობაში. — ყველა ქალი, ყველა დედა შეაძრწუნა მომხდარმა ამბავმა. მოძალადე კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დასაჯოს. ჩვენ კი ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ ვზრდოდეთ ახალგაზრდობა ზნეობრივი სიწმინდის, ინტერნაციონალური მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის, სულისკვეთებით.

მაგრამ ამით როდი დამთავრდა ყველაფერი. გასულ შაბათს, 8 ოქტომბერს, გამსახურდიაკოსტავას ჯგუფმა მიტინგი მოაწყო. იგი თბილისის იპოდრომზე გაიმართა. და თუმცა იპოდრომი თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით სამიტინგო ადგილად არის განსაზღვრული, ეს მიტინგი უკანონო იყო. რატომ? იმიტომ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის პრეზიდიუმის შესაბამისად, საკრძოა წინასწარი ნებართვა დადგენილი წესით დემოსტრაციისა თუ მიტინგის მოსაწყობად. ამ მიტინგის მოწყობის ნებართვა არავის გაუცია, უფრო სწორად, არავის უთხოვია, არ წარუდგენია სათანადო განცხადება.

რა თქმა უნდა, მიტინგიც არის და მიტინგიც. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ ხალხი ვეღარ იოკებს ემოციებს და მიტინგი სტიქიურად წარმოიშობა. მართალია, კანონი კანონია, თუმცა არის შემთხვევები, როცა ადამიანი შეიძლება ვერ გაამართლო, მაგრამ შეგიძლია გაუგო მაინც. გვიხსენთ თუნდაც მიტინგი, ამა წლის 22 სექტემბერს რომ გაიმართა უნივერსიტეტის შენობასთან. მიტინგი, რომელიც ისტორიისა და კულტურის უნივერსიტეტის ბედისთვის გულისტკივილით იყო გამოწვეული.

მაგრამ, მოდით, იპოდრომის მიტინგს დავუბრუნდეთ. უკვე მერადმეტად გამოვიხენ ზ. გამსახურდია, მ. ჯოსტუა და სხვანი ნაციონალისტური ლოზუნგებით. მათ ბანს ამღვენდნენ ი. ბათიაშვილი და თ. ქორიძე. ყოველივე ეს ნაცნობი სურათია, იყო ერთი და ოგივეს გადამღერება, არაჯანსაღი ემოციების გამოწვევაზე გაანგარიშებული თამაში. მოწოდებები გამოირჩეოდა უაღრესად უპასუხისმგებლო ხასიათით, მათ მიღმა არ იგრძნობოდა არავითარი ზრუნვა მშობელი ერის ეროვნული ტერიტორიული არსებულ ყველა სკოლაში. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მომავალი სასწავლო წლიდან შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც ქართული ენის მასწავლებლებს მოამზადებს არაქართული სკოლებისათვის.

აი, როგორი პრობლემები უნდა გადაეჭრათ ერთად, რათა ხელი შეეწყოთ ეროვნებათშორისი ურთიერთობის გაუმჯობესებას, ისევე როგორც უნდა გადაეწყვიტოთ საკადრო საკითხი, რაიონის სოფლების ეკონომიკური და სოციალური განვითარების, მრავალი სხვა საკითხი.

უეჭველად დროული და საკადრისი პასუხი უნდა გაეცეთ ეაიპატრიოტებს. აქ არ შეიძლება არ ითქვას, რომ მათ „იციან“ გამოხდომებისათვის, თავიანთი თვალსაზრისით, ხელსაყრელი მომენტის შერჩევა. ამას ხშირი ისინი შეეცადნენ თავი წამოეყოთ, როცა მიმდინარეობდა საბჭოთა და მეორეს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა IV კონფერენცია, აბლა — როცა მიმდინარეობს ახალგაზრდული პრესის საერთაშორისო ფესტივალი. დაე, ამაზეც იფიქრონ იმათ, ვინც მათ გაბრუეს, ყველაფერი ხომ თავითრეკლამისათვის, იმისათვის, კეთდება, რომ მათ ქება-დიდება შეასხას დასავლეთის ზოგიერთმა რეაქციულმა ჟურნალ-გაზეთმა. მათი მოქმედება მიზნად ისახავს გარდაქმნისათვის, პარტიის პოლიტიკისათვის ძირის გამოთხრას, და არა ხალხის კეთილდღეობას.

იპოდრომზე გამართულისანირი მიტინგები, რომლებიც კანონის დარღვევით ეწყობა, პირველად არ იმართება. საოცარია ჩვენი ხელისუფლების ორგანოებისა და სამართლებრივი ორგანოების მოთმინება. ისინი ეალდებული არიან გამოიყენონ კანონი. დემოკრატია ხომ კანონის უყოყმანო შესრულებას ნიშნავს და არ იწყნარებს არავითარ ანარქიას.

ისიც უნდა ითქვას, რომ „გამსახურდია და კოპპანიის“ მოქმედებამ ბუნებრივი აღშფოთება გამოიწვია. თბილისის მთავარ საწარმოში გაიმართა მშრომელთა მიტინგები, რომლებიც შეწუხებული არიან სიტუაციით ამ ბოლო დროს რომ შეიქმნა ქალაქში.

— მე, ისევე როგორც ყველა, სულის სიღრმემდე შემძრა მარნეულის რაიონში ჩადენილმა დანაშაულმა, — თქვა მიტინგზე გამოსვლისას თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ამშენაბრ ზეინალაშვილმა. — მაგრამ არანაკლებ აღმაშფოთებელია ისიც, რომ ირაკეთილსინდისიერ ადამიანთა პოზიციაა მიმხდარი ამბავი გამოიყენონ პროვოკაციული მიზნებისათვის. და ისევ ზამთარშეყუბთა შორის არიან ზვიად გამსახურდია, მერამ კოსტავა და სხვები, რომლებმაც თავი მოგვაბეზრეს მოურიდებელი განცხადებებითა და მიმართვებით. აი, ამჟერადაც, უხეშად ამახინჯებენ რა ინფორმაციას, ისინი ცდილობენ მოწუმლონ ზეინი ახალგაზრდობის შეგნება, გაალვივონ ეროვნებათშორისი შფოლი.

ნაციონალისტური განწყობილების გამომწვევი მოქმედების წინააღმდეგ პროტესტი გამოთქვა „თბილისგეირაბმშენის“ სამმართველოს, საწარმოო გაერთიანების „თბილსირის“, თბილისის № 6 პურის ქარხნის, რესპუბლიკის დედაქალაქის სხვა საწარმოთა კოლექტივების, მრავალმა წევრმა. აი რა გვინდოდა კიდევ გვეკითხა. არაერთგზის გამოთქმული აზრი, რომ სწორედ პრესა თავისი ხმირი კრიტიკული სტატიებით ხელს უწყობდა შეექმნა ზ. გამსახურდიასთვის წამებულნი შარავანდედი. პრესა რომ არა, ახალგაზრობა თვითონ შეძლებდა ავილა და კარგის გარჩევას, იმის განსაზღვრას, თუ ვინ ვინ არის. იქნებ ასეც იყოს. მაგრამ წყვდიადში, საჯაროობის ჩირაღდნის გარეშე, შეიძლება ბევრ აგებნას და ეშმაკურად დაგებულ ხაფანგში გაგება. როგორც ჩანს, ამაზეც უნდა ვიფიქროთ, როცა მომავალზე, ჩვენი ახალგაზრდობის ბედიღაღლზე ვუბრუნავთ.

რაც შეეხება ჩვენს ახალგაზრდობას, უნდა გვიბარიდეს, რომ ასე აქტიურად მონაწილეობს ეკოლოგიური პრობლემებს, ქარგალი ერის კულტურული და ისტორიული ძეგლების დაცვის პრობლემების გადაჭრაში, სხვა საკითხთა გადაწყვეტაში. გარდაქმნის ეპოქაში მან თითქოს ფრთები შეისხა, უკუაგდო უძრაობა. რა ეუფიო, რომ ზოგჯერ ცდება. არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს აკეთებს, არაფერი არ სურს. გზა სიარულმა დალიაო. მხოლოდ გვინდა ვუსურვოთ მას, ნუ ირწმუნებს ყალბ ულტრა-პატრიოტულ ლოზუნგებს, ისწავლოს ზუსტად იმის განსაზღვრა, თუ სად არის სიყალბე და სად — სიმართლე.

ზაურ გვაზავა.

ე. ბართაია



გარდაიცვალა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი, 1941 წლიდან სკკპ წევრი, პოეტი ეგნატენ ფილიპეს ძე **ბართაია.**

ე. ბართაია დაიბადა 1921 წელს ეგეგეჩკორის რაიონს სოფელ ლეხაინდრაოში, ლეხის ოჯახში. 1937 წლიდან 9 ოთხმანლიზე მუშაობდა მშობლიური სოფლის სკოლაში — ჯერ მასწავლებლად, შემდეგ დირექტორად. პარალელურად გაიარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური (ფილოლოგიის) ფაკულტეტის სრული კურსი.

1946 წლიდან 1952 წლამდე ე. ბართაია რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორია; შემდეგ კი პარტიულ სამუშაოზეა. იყო საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის განყოფილების გამგე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, პარტიის რაიკომის პირველი მდივანი.

1964 წლიდან 1988 წლამდე ე. ბართაია ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ მთავარი რედაქტორია. პენსიაზე გასვლის შემდეგ იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი იყო.

ეგეგენი ბართაია ლუჩსებისა და პოემების მრავალი კრებულის ავტორია. ცალკე წიგნებად დაისტამბა მისი ლიტერატურული გამოკვლევები.

სხვადასხვა წლებში ე. ბართაია იყო საქართველოს სსრ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ბევრი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საბჭოს წევრი. დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამპატიო სგგელებთან, მედლებით.

ეგეგენი ბართაიას ხსოვნა დიდ-ხანს დარჩება ბევრი ახლანდელი ადამიანების, თანამშრომლების და მკითხველების გულში.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და ნაგეკეთ მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი; ერონალ „საქართველოს ბუნების“ რედაქცია; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; საქართველოს მწერალთა კავშირი; საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირი.

კავკასიისათვის მებრძოლების მიეძღვნა

8 ოქტომბერს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლში გაიმართა კავკასიისათვის ბრძოლის დამთავრების 45 წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო-ისტორიული კონფერენცია. იგი მოაწყვეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტიკურმა სამმართველომ, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციამ, საქართველოს ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა და თბილისის კომიტეტმა, ფოსაიფის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატმა, რესპუბლიკურმა საზოგადოება „ცოდნამ“.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა გადამდგარმა გენერალ-მაიორმა, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარემ ნ. თავართქილაძემ. კავკასიის დამცველთა მამაცობაზე ილაპარაკეს თავის მოხსენებაში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილემ პოლკოვნიკმა ი. პეტროვმა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. იოსელიანმა. დამსწრეთ მოგონებანი გაუზიარეს სოციალისტური შრომის გმირმა, პოეტმა აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ, 414-ე წითელდროშოვანი ქართულ მსროლელთა დივიზიის პოლკტგანყოფილების ყოფილმა უფროსმა ვ. ჯანჯღოვამ, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის ბაქოს სექციის თავმჯდომარის მოადგილემ რ. ზალიაევმა და სხვ. ამავე დღეს გამართულის პარკში კავკასიისათვის ბრძოლის მონაწილეებმა გვირგვინით შეიმკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

კონფერენციას წინ უძღოდა ღონისძიებათა ფართო პროგრამა.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი

◆ იუგოსლავია

საჭირო განახლება

ბელგრადი. იუგოსლავიაში გამწვავდა პოლიტიკური ურთიერთობა. შეკრბილი ვითარებით მშრომელთა სამართლიანმა უკმაყოფილებამ ფართო გამოხატულება პოვა საპარტიტო მატნგებებზე — განაცხადა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რაიფ დიზდარევიჩმა, კვირა საღამოს რადიოთი და ტელევიზიით მოქალქეებისადმი რესპუბლიკის პრეზიდიუმის სახელით მმართველისა.

მან აღნიშნა, რომ ქვეყნის ყველაზე დიდი პრობლემები, რომლებსაც წარმოშობს, არის ინფლაციის სწრაფი ტემპი, სიძვირე, ხელფასისა და მშრომელთა ცხოვრების დონის დაქვეითება. ეკონომიკური ჩიხისიდან გამოსვლისა და ნეგატიურ საზოგადოებრივ მოვლენათა დაძლევის ერთადერთი გზა, ეკონომიკური რეფორმის განხორციელებაა.

როცა კოსოვოს ავტონომიურ მხარეში შექმნილ ვითარებას შეეხო, სადაც უკანასკნელ ხანს გამწვავდა ეროვნებათშორისი ურთიერთობა, დიზდარევიჩმა აღნიშნა, რომ დადგა დრო შეწყდეს ალბანელ ნაციონალისტთა ზეგავლენით ამ მხარიდან სერბი და ჩერნოგორიელი ეროვნების მცხოვრებთა გასახლება.

ითქვა ისიც, რომ ქვეყანაში შესუსტდა ნდობა ხელმძღვანელი ორგანოებისადმი, რომ განახლება დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს: მომავალ პლენუმზე უნდა შეიცვალოს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და ცენტრალური კომიტეტის საკადრო მუშაობა.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲒᲔᲕᲐ ᲙᲐᲠᲝ-ᲙᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲖᲔ

ᲛᲐᲡ შემდეგ, რაც კარო-კანის დაცვამ ოსელიანს ზედიზედ სამჯერ კარგი სამსახური გაუწია, ჩიბურდანიძემ, ცხადია, გადაწყვიტა ამ დასაწყისის წინააღმდეგ სხვანაირად ეთამაშა და ხელი აიღო „პანოვის შეტევაზე“. ახალმა ტაქტიკამ მეშვიდე პარტიაში ნაყოფი გამოიღო კიდეც.

თეთრებით მოთამაშეები კარო-კანის დაცვას სხვადასხვანაირად ებრძვიან. ამჯერად ჩიბურდანიძემ გადაწყვიტა გრძელი როკი გაეკეთებინა და პირველპირი ეერიში წამოეწყო. ამ შემოხვევაში ოსელიანსაც ექნებოდა შესაძლებლობა დამუქრებოდა ლაზიერის ფრთაზე გადასულ თეთრ მეფეს. ერთი სიტყვით, თავიდანვე დადგებოდა საკითხი „ვინ — ვის?“. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ, თუმცა მატჩის დამთავრებამდე ჯერ დიდი დრო რჩება, საკადმი ანგარიში არც ერთ მხარეს არ აძლევს ხელს.

მეშვიდე პარტია მართლაც მეტად საინტერესო გამოდგა. ოსელიანმა, როგორც ეწერა და რიგია, გაადვილა მის ბანაკში შეჭრილი თეთრი მხედრები. ეს აუცილებლად არის მიჩნეული, მაგრამ ამასობაში შავი პაიკების განლაგება რამდენადმე სუსტდება. ჩიბურდანიძე ამ მატჩში პირველად მიეცა საშუალება თეთრებით პირდაპირი ეერიში წამოეწყო მეფის ფრთაზე და, უნდა ითქვას, ეს შესაძლებლობა ძალიან კარგად გამოიყენა. ამაში მას მეტოქემაც შეუწყო ხელი, რომელმაც 21-ე სვლაზე უზუსტოდ თამამშა. ერთი სიტყვით, შავები შეფარხდნენ და ჩემპიონის მეფეს სერიოზულად ვეღარ დაემუქრნენ. ამასობაში კი ჩიბურდანიძის შეტევა მეტად სახიფათო გახდა.

დააკვირდით თეთრების 24-ე სვლას. ცხადია, შავებს მხედრის მოგება არ შეუძლიათ — მარტივი ტაქტიკური დარტყმის შემდეგ ლაზიერს კარგავენ. ჩემპიონს შეტევა უკვე შეუფარხებლად განეთამაშა, შავი მეფის საფარი უიმედოდ დასუსტდა, ოსელიანს ხარისხის დათმობა მოუხდა და უაღრესად უსიამოვნო პოზიციაა მიიღო. ერთხანს იგი იმედოვნებდა გაერთულებინა ბრძოლა (ორი კუნ იმედი ჰქონდა), მაგრამ ჩემპიონის რამდენიმე ძლიერი სვლის შემდეგ მდგომარეობა გამარტივდა, გაიცვალა ლაზიერები. ამასობაში პრტენდენტმა პაიკიც დაკარგა. ახლა მას უკვე ხარისხი და პაიკი აკლდა.

41 სვლის შემდეგ პარტია გადაიდო ჩიბურდანიძისათვის მოსაგებ პოზიციაში.

მეშვიდე პარტია
ჩიბურდანიძე-ოსელიანი

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. 3c3 de 4. 3:e4 3d7 5. ¿c4 3gf6 6. 3g5 e6 7. ¿e2 3b6 8. ¿d3 h6 9. 3f3 c5 10. dc ¿:c5 11. ¿d2 ¿c7 12. 0-0-0 0-0 13. 3e5 3bd7 14. f4 b6 15. 3gf3 ¿b7 16. ¿hf1 ¿ac8 17. 3gh1 ¿d6 18. 3:d7 ¿:d7 19. g4 ¿a4 20. g5 hg 21. fg 3d5 22. g6. 3f4 23. ¿:f4 ¿:f4 24. 3d4 ¿e5 25. gf+ ¿:f7 26. ¿h7+ 3g:h7 27. ¿:f7 ¿e4 28. ¿g4 ¿g6 29. ¿f3 ¿e4 30. ¿:e4 ¿:e4 31. ¿e3 ¿g6 32 ¿:e8 ¿c5 33. 3b3 ¿e3 34. 3a1 ¿f4 35. ¿f1 ¿h6 36. ¿e2 ¿h5 37. ¿g2 ¿e8 38. 3b3 ¿f3 39. ¿gf2 ¿d5 40. 3c1 ¿e3 41. 3d3 ¿c4 აქ პარტია გადაიდო.

კვეთის ოსელიანმა თამაშის გაუხანგლებლად თავი დამარცხებულად ცნო. ანგარიში გახდა 4:3 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

მორიგი მერვე პარტია დღეისთვის არის დანიშნული.

ბ. ბამრიკელი.

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲢᲐᲚᲘ

ᲠᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘᲐᲨᲘ (ინდოეთი) გრძელდება მსოფლიო თასის გოთამაშების მესამე ეტაპი. მეექვსე ტურში მიხეილ ტალმა დამარცხა ლაიოშ პორტიში და 4,5 ქულით ხელი იგდო ლიდერობა. ამ ტურში სოკოლოვმა მოუგო პეტროსონს, კასპაროვმა—პაიარტარსონს, იუსუპოვმა — ბელიავსკის, კორჩნოიმ — რიბლის, ტომანმა — ნიკოლიჩს, საქმა — ელვინტს. დაზაგდნენ ნახა-სპალმენი და სპასკი-ანდერსონი.

კასპაროვმა, იუსუპოვმა და ბელიავსკიმ 4-4 ქულა მოაგროვეს, მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ტომანი, საქმი და სოკოლოვი.

ᲨᲔᲮᲔᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲒᲣᲠᲘᲐ“ ᲬᲐᲜ ᲛᲘᲐᲬᲕᲔᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობის ბოლო ორ ტურში კვლავ წარმატებით ისასრეზა ლანჩხუთის „გურიამ“. ჩვენმა ფეხბურთელებმა ჯერ ლვოვის ასკ „კარპატი“ დაამარცხეს (2:0), გუშინწინ კი დიდი ანგარიშით მოუგეს რიგის „დაუგავას“ — 4:0. 38-ე ტურის სხვა შეხვედრები ასე